„ПРАВДА“ 50 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

10
აპრილი
სამშაბათი,
1962 წ.
№ 71 (1922)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრები გაემგზავრა უნგრეთს

ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა უნგრეთს. გუნდის შემადგენლობაში არიან დ. ვოსკობოინიკოვი, ა. ცირკოვი, ა. კარმანოვსკი (მოსკოვის „ბურევესტნიკი“), ი. ლაბუცკასი, ი. ბუგაენკოვი, გ. მეშჩერსკი (რიგის „დაუგავა“), ვ. შნიუკოვი, ე. სიბირიაკოვი (ოდესის „ბურევესტნიკი“), ვ. კაჭარავა, ვ. გავრილენკო, ს. ბუინოვი (თბილისის „ბურევესტნიკი“), ი. ვენგეროვსკი (ხარკოვის „ბურევესტნიკი“).

დელეგაციას ხელმძღვანელობს ფრენბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარი მწვრთნელი ო. ჩეხოვი. ნაკრებს მწვრთნელად გაჰყვნენ ვ. სავინი და ნ. მიხეევი.

რ. შავლაყაძე შედის ფორმაში

სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდების სამატჩო შეხვედრის პირველ დღეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება პროგრამის 14 სახეობაში.

1.500 მ რბენაში მესამე თანრიგის შედეგით (4.23,6) გაიმარჯვა დინამოელმა ა. სმირნიცკიმ და 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის უძლიერესმა ნ. ზგურსკაიამ („ბურევესტნიკი“) — 1 02,8.

მაყურებელი მეტს მოელოდა გ. ლეჟავასაგან („ბურევესტნიკი“), რომელმაც ერთი კვირის წინათ აქვე გამართულ შეჯიბრებაში 110 მ თარჯრბენში აჩვენა 15,1 და ახლა ეს შედეგი ერთბაშად 0.4-ით გააუარესა. მისი შედეგია 15,5.

ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მწვრთნელი და აღსაზრდელი — რ. შავლაყაძე („დინამო“) და თ. მდივანი („ბურევესტნიკი“), „ბურევესტნიკის“ სტადიონის თასის გათამაშებაში თ. მდივანმა გაიმარჯვა 185 სმ-ის დაძლევით. ახლა მან მართალია, 10 სმ-ით უკეთესი შედეგი აჩვენა, მაგრამ მაინც საგრძნობლად ჩამორჩა მწვრთნელს, რომელიც, როგორც ჩანს, თანდათან შედის ჩვეულ ფორმაში. რ. შავლაყაძემ მეორე ცდით დაძლია 208 სმ და პირველი ადგილი დაიკავა.

კვლავ კარგად გამოვიდა 80 მ თარჯრბენში ლ. იევლევა („ბურევესტნიკი“) — 11,3 და სამხტომში სპარტაკელი ვ. ჩხეიძე—15.18 მ. ორი პირველი თანრიგის შედეგი იქნა ნაჩვენები ვაჟთა 100 მ რბენაში ე. ლომთაძისა („სპარტაკი“) და ზ. ჯარაშნელის („დინამო“) მიერ, როცა გამარჯვებულმა ლომთაძემ აჩვენა 10,6 და 0,1-ით აჯობა ძლიერ კონკურენტს.

სამატჩო შეხვედრის პირველი დღე დამთავრდა 2-საათიანი სპორტული სიარულით. აქ წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი დინამოელი ა. შჩერბინა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლ. გიორგაძე), რომელმაც აღნიშნულ დროში სტადიონის 400-მეტრიან ბილიკზე შეძლო 58 წრისა და 105 მეტრის გავლა, რამაც 23.305 მეტრი შეადგინა. ამით ა. შჩერბინამ გააუმჯობესა ზ. საკალაუსკასის მიერ 1956 წელს დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 22.720 მ-ს უდრიდა.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან: პირველ ჯგუფში — „ბურევესტნიკი“, მეორეში — „შრომითი რეზერვები“.

სურათზე: ა. შჩერბინა 2-საათიანი სპორტული სიარულის დროს.

ა ხ ა ლ ი ლ ი დ ე რ ი

მოსკოვის „სპარტაკმა“ დაამარცხა გორკის „ტორპედო“ (6:3), რომელმაც თავის მხრივ დიდი ანგარიშით — 4:1 მოუგო დედაქალაქის „კრილია სოვეტოვს“. მოსკოვის „დინამომ“ მეტად მნიშვნელოვანი ორი ქულა მოიპოვა ცსკა-სთან მატჩში (4:2), ხოლო „ლოკომოტივმა“ ფინალში განცდილი ორი დამარცხების შემდეგ კვლავ ორჯერ იწვნია ეს სიმწარე მოსკოვის გუნდებთან—„კრილია სოვეტოვთან“ (2:3) და „დინამოსთან“ (0:4) შეხვედრებში და საბოლოო ჯამში, ფინიშზე ზედიზედ დაკარგული რვა ქულის გამო ყოველგვარი შანსები დაკარგა საპრიზო სამეულში მოხვედრისათვისაც კი. ასეთი იყო განვლილი კვირის „ბალანსი“ შაიბიან ჰოკეიში საბჭოთა კავშირის პირველობაზე, რომლის დამთავრებამდე დარჩა მხოლოდ ერთი კვირა, ანუ ოთხადოთხი მატჩი.

რა ხდება ფინიშზე? მოსკოვის „ლოკომოტივის“ საპირისპიროდ, რომელმაც ხუთი თამაშიდან წააგო ოთხი, მძლავრი ბიძგით გაიჭრა წინ „სპარტაკი“. მან მოიგო ზედიზედ ოთხი მატჩი, 36 შეხვედრის შემდეგ დააგროვა 62 ქულა და გახდა ჩემპიონატის ლიდერი. ამაში მას ხელი შეუწყო ცსკა-ს უკანასკნელმა დამარცხებამ, რის შედეგად გასული წლის ჩემპიონს 36 თამაშიდან კვლავინდებურად 60 ქულა დარჩა. 62 ქულა გაუხდა მოსკოვის „დინამოსაც“, ოღონდ 37 ჩატარებული თამაშიდან. მას რჩება მხოლოდ ერთი შეხვედრა „კრილია სოვეტოვთან“. ფაქტიურად, ამ სამ გუნდს შორის მიმდინარეობს ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის. დანარჩენი გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ ამ სამეულს: 57-57 ქულა აქვთ „ლოკომოტივსა“ და „კრილია სოვეტოვს“, 53 — გორკის „ტორპედოს“, 49 — ვოსკრესენსკის „ხიმიკს“.

პირველი წინაღობა გადალახულია

ვარშავასა და ბუდაპეშტში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ კონტინენტის ფრენბურთელთა უძლიერესი საკლუბო გუნდები. პოლონეთის დედაქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა გუნდი ცსკა და „აკადემიკი“ (ბულგარეთი). ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა.

ბუდაპეშტის „შპორტჩარნოკის“ დარბაზში ითამაშეს „დოჟამ“ (უნგრეთი) და „დუკლამ“ (ჩეხოსლოვაკია). მატჩს სჯიდა ცნობილი საბჭოთა ფრენბურთელი, წარსულში საქართველოს ნაკრები გუნდის ფრენბურთელი, ამჟამად საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ს. არაკჩიანი. უნგრელ და ჩეხ ფრენბურთელთა შეხვედრაში მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა „დოჟას“ სპორტსმენთა უპირატესობა, რომლებმაც სძლიეს მეტოქეს ანგარიშით 3:1.

ძიუ-დო თბილისშიც „ვეწვევა“

საფრანგეთს ძიუ-დოს მეორე სამშობლოდ თვლიან. ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის იგი ისე განვითარებული, როგორც საფრანგეთში. 1600 ოფიციალურ კლუბში 45 ათასზე მეტი მოჭიდავეა გაერთიანებული. ამათ რიცხვში 5 ათას მოჭიდავეს აქვს „შავი ქამარი“ (ე. ი. ოსტატის თანრიგი).

ძიუ-დოში სხვადასხვა ფერის ქამარი სხვადასხვა თანრიგს ნიშნავს. სპორტული იერარქიის უმაღლესი საფეხურია შავი ქამარი, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე საფეხურად (დანად) იყოფა. „შავ ქამარს“ სულ 10 დანი აქვს, რის შემდეგაც მოდის კატეგორია — აბსოლუტური.

საფრანგეთში რეგულარულად ტარდება ძიუ-დოისტთა პირველობები—როგორც პირადი, ისე გუნდური. ამას გარდა, ფრანგი მოჭიდავეები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო შეხვედრებში შვეიცარიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან. საფრანგეთის ძიუდოისტებს ავარჯიშებენ ცნობილი იაპონელი ოსტატები: კავაისი (მეშვიდე დანი), მისიგანი (მეშვიდე დანი), ავაცუ (მეექვსე დანი).

ჩვენი სტუმრები, როგორც წესი, გამარჯვებულები გამოდიან საერთაშორისო შეხვედრებში, უფრო მეტიც, მათ არა ერთხელ დაუკავებიათ პირველი ადგილი ევროპის პირველობებზე. ფრანგები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატებშიც.

გასულ კვირას მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ძიუ-დოისტთა პირველი ამხანაგური შეხვედრა. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა სამი ქართველი მოჭიდავე: ზურაბაული, ბერუაშვილი და კიკნაძე. სამივე სპორტსმენმა მაღალი სპორტული ოსტატობა გამოავლინა. მათ დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები. შეხვედრა მოიგეს ჩვენი ქვეყნის ძიუ-დოისტებმა ანგარიშით 6:2.

დღეს საფრანგეთის მოჭიდავეები ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ კიევში, ხოლო 12 აპრილს — თბილისში.

სპორტულ საზოგადოებებში

„კოლმეურნე“

მოძმე სომხეთის სპორტსაზოგადოება „კოლტენტსაკანის“ სპორტსმენებმა მეგობრული შეხვედრა მოუწყეს ჩვენი რესპუბლიკის „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდების წევრებს — ძალოსნობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. სტუმარ-მასპინძელთა ამხანაგური მატჩები გაიმართა ოქტომბერიანის რაიონულ ცენტრში.

კლასიკურ ჭიდაობაში ანგარიშით 4,5:3,5 გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის აშკარა იყო „კოლმეურნის“ ნაკრების უპირატესობა, რომელმაც გაიმარჯვა დამაჯერებელი ანგარიშით — 5:3.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ძალოსანთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ს. ფოლოსიანი, რ. დათიკაშვილი, დ. სურმანიძე, ვ. ჯეირანოვი, მ. სვინჩენკო, ი. ყუბანეიშვილი, ზ. პაპიძე და გ. ხვედელიძე მშრალი ანგარიშით 9:0 დაამარცხა მასპინძელთა კოლექტივი.

ამხანაგურმა შეხვედრამ მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და უფრო გააძლიერა ორი მოძმე რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა კავშირი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ—სპორტის ოსტატი დ. სურმანიძე სიმძიმეების აწევის დროს; მარჯვნივ—ვ. ალბორიანი (მარჯვნივ) ცდილობს გაქცევით უშველოს თავს სპორტის ოსტატ ზ. მონასელიძესთან შეხვედრაში.

ტექსტი და ფოტო უ. მოსესოვისა.



ბაკურიანი—
სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი

◆

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საბჭოს VII პლენუმზე საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სიხარულიძის გამოსვლიდან.

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ზამთრის პირველი საკავშირო სპარტაკიადის ჩატარების შესახებ კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა. მით უმეტეს, რომ სპარტაკიადის ნაწილი ბაკურიანში ტარდებოდა, ამ ღონისძიებამ აამოძრავა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, აიძულა ისინი გადაესინჯათ თავიანთი შესაძლებლობანი ზამთრის სახეობათა მასობრივი განვითარების დარგში.

თვითკრიტიკულად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არასათანადო ყურადღებას ვუთმობდით სათხილამურო სპორტის განვითარებას. საკმარისი იყო ამ საქმისათვის სერიოზულად მოგვეკიდა ხელი და უკვე გვყავს ოსტატთა და ახალგაზრდა პერსპექტულ სპორტსმენთა მთელი პლეადა.

სპარტაკიადის შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ნაკლოვანებათა დაძლევა ხელს შეუწყობდა ზამთრის სახეობათა შემდგომ განვითარებას. თავისი რელიეფითა და კლიმატური პირობებით ბაკურიანი ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არც ერთ სპორტულ საზოგადოებას, არც ერთ უწყებას არავითარი სახსრები არ გაუღია ბაკურიანში რაიმე კაპიტალური მშენებლობის ასაგებად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „დინამოსა" და „ბურევესტნიკს", რომლებმაც ასე თუ ისე წესრიგში მოიყვანეს და შეაკეთეს თავიანთი ბაზები.

მოთხილამურეთა უმეტესობას, ვინც კი ბაკურიანში ყოფილა, კარგად ახსოვს, რომ 1961 წლამდე იქ მუდმივი ელექტრომომარაგებაც კი არ იყო, რომ არაფერი ვთქვათ წყალსადენის, კეთილმოწყობილი გზების, სასტუმროს, კინო-თეატრისა და სხვათა შესახებ, მაგრამ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მცირე დროში ბაკურიანი მთლიანად ელექტროფიცირებულ იქნა, დამთავრდა წყალ-კანალიზაციის პირველი რიგის სამუშაოები, გაფართოვდა „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ბაზები, აიგო ახალი კინო-თეატრი, კეთილმოეწყო საცხოვრებელი ქალაქი 300 ადგილით, ბორჯომ-ბაკურიანის გზატკეცილი, მწყობრში ჩადგა დაბიდან საბაგირო გზის ქვედა სადგურთან მისასვლელი გზა, მიმდინარეობს 200-ადგილიანი სასტუმროსა და 400-ადგილიანი კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობა.

გასული წლინახევრის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ბაკურიანის კეთილმოწყობის სამუშაოებს მოხმარდა 1.200 ათასი მანეთზე მეტი (ახალი ფულით). აქვე, კრიტიკის ნიშნით უნდა ვთქვათ, რომ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭო ახალი ტრამპლინის, საბაგირო გზისა და საციგუროს ასაგებად თავის დროზე დაგვპირდა 500 ათას მანეთს. ამ ობიექტების საპროექტო სამუშაოები შესრულდა რესპუბლიკის სახსრებით, მაგრამ ცენტრალური სპორტკავშირის მიერ დაპირებული თანხა ვეღარ მივიღეთ, რის გამო ზემოაღნიშნული სპორტული ნაგებობანი აღარ აშენებულა.

სახსრებს, რომელიც საჭიროა ბაკურიანში დიდი სიმძლავრის ტრამპლინის, საბაგირო გზისა და საციგუროს ასაშენებლად. ეს საშუალებას მოგვცემს ბაკურიანი გადავაქციოთ საერთაშორისო მნიშვნელობის ბაზად. მით უმეტეს, სწორედ ბაკურიანშია განზრახული საბჭოთა გუნდის წვრთნის ჩატარება ზამთრის IX ოლიმპიური თამაშებისათვის.

რესპუბლიკის ძალებით კვლავ გრძელდება ბაკურიანის კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სასტუმრო, კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, აბანო-სამრეცხაო, წყალკანალიზაციის მეორე რიგი. გაფართოვდება და კეთილმოეწყობა გიგანტური სლალომის ტრასა და აიგება სწრაფდაშვების ახალი ტრასა საყველოს მთიდან სოფელ მიტარბამდე, რომლის სიგრძე იქნება 3.000 მეტრზე მეტი, ხოლო სხვაობა სიმაღლეში — 800-900 მეტრი.

მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით სათანადო ყურადღება მიგვექცია რესპუბლიკის სხვა თოვლიანი რაიონებისათვის, მაშინ, როცა სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის ბევრი კარგი ადგილია საქართველოში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მესტიის რაიონი სვანეთში. აქ 1960 წელს ავაგეთ 40-მეტრიანი ტრამპლინი და სამთო-სათხილამურო ტრასა, მოვაწყეთ პორტატული საბუქსირო-საბაგირო გზა და ორგანიზაცია გავუკეთეთ სისტემატურ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას. შედეგებმაც მალე იჩინეს თავი. მესტიელი მოსწავლე ბ. კახიანი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სპარტაკიადაზე ჭაბუკთა გიგანტურ სლალომში. გოგონათა შეჯიბრებაში მისმა თანასოფლელმა ნ. ფალიანმა სათანადოდ დაიცვა რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ბაკურიანში კ. წაქაძემ და ი. ჯანგობეგოვმა მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები, კარგად გამოვიდა ჩვენი გუნდი ტრამპლინიდან ხტომაში, სადაც მე-3 ადგილი და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზი მოიპოვა.

ეს წარმატებანი მოპოვებულ იქნა იმის შედეგად, რომ ჩვენი მხტომელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში წვრთნას გადიოდნენ კავგოლოვოს ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე. ამჟამად რესპუბლიკას შეძენილი აქვს ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინის კომპლექტი, რომელსაც მოკლე დროში თბილისში მოვაწყობთ. ეს საშუალებას მოგვცემს ივარჯიშონ არა მარტო ჩვენმა სპორტსმენებმა, არამედ მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლებმაც.

ყველასათვის ცნობილია ჩვენი სამთო-მოთხილამურეთა გამოსვლების დაბალი დონე საერთაშორისო სარბიელზე. ჩემის აზრით, ეს ჩამორჩენა რომ ლიკვიდირებულ იქნას, საჭიროა მასობრივი გავხადოთ სამთო-სათხილამურო სპორტი. ვფიქრობ, მოკავშირე რესპუბლიკათა უმეტესობაში არის მთიანი თოვლიანი რაიონები, სადაც წარმატებით შეიძლებოდა სამთო-სათხილამურო სახეობათა განვითარება, ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია გავადიდოთ სამთო-სახეობათა ხვედრითი წონა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამასა და სხვა საკავშირო შეჯიბრებებში.

როგორც დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებათა გამოცდილება გვიჩვენებს, მსოფლიოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურენი, როგორც წესი, წარმატებით გამოდიან ალპური სამჭიდის ერთ-ერთ სახეობაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათი წვრთნის მეთოდიკაში არსებობს ერთგვარი სპეციალიზაცია. ეს დადებითი გამოცდილება უნდა დავნერგოთ ჩვენშიც. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჩვენი ტრამპლინიდან მხტომელებისა და ორჭიდელთა უკანასკნელი წლების წარმატებანიც, რომელიც სწორედ მას შემდეგ მოვიდა, რაც მოხდა ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გაყოფა. მართალია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში აშენდა რამდენიმე დიდი ტრამპლინი და ამანაც შეუწყო ხელი მათ წარმატებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სამთო მოთხილამურეებს თითქმის არაფერი მიუღიათ, მხოლოდ ორი საბუქსირო გზა ბაკურიანსა და ჩიმბულაკში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

თუ ჩვენ დაინტერესებული ვართ სამთო მოთხილამურეთა ოსტატობის დონის ამაღლებით, აუცილებელია დროულად გადავწყვიტოთ საბაგირო გზებისა და ამწეების მშენებლობის, მაღალი ხარისხის სამთო-სათხილამურო ინვენტარის გამოშვების (განსაკუთრებით ჭაბუკთა ასაკისათვის) საკითხები.

ვფიქრობთ, სათხილამურო სპორტის განვითარებაში დიდ როლს შეასრულებდა მარტის არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებათა ჩატარება სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში. ეს ღონისძიება სტიმულს მისცემდა ბავშვებს პატარაობიდანვე მიჩვეოდნენ დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობას. სამთო - სათხილამურო სპორტის განვითარებისა და საერთაშორისო კავშირის გაფართოებისათვის ცუდი არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე ხშირი შეხვედრები საზღვარგარეთელ სპორტსმენებთან. ჩვენ უარს არ ვიტყოდით, თუ 1963 წელს საქართველოში მოვაწყობდით საერთაშორისო შეხვედრას სამთო-სათხილამურო სპორტში, ხტომებსა და ორჭიდში სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ირანისა და თურქეთის სპორტსმენთა მონაწილეობით.

რამდენიმე სიტყვა სპარტაკიადის ჩათვლის სისტემის შესახებ. ჩვენის აზრით, აუცილებელია გათანაბრდეს გუნდური ჩათვლა სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში. გაურკვეველია, მაგალითად, რატომ იყო, რომ სათხილამურო რბოლაში ვაჟებს შორის, ჩათვლაში შედიოდა 10 მონაწილე, ხოლო სამთო სახეობებში მხოლოდ ხუთი? უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ჩათვლა ყოფილიყო ოლიმპიური სისტემით, თუნდაც ათი ან თხუთმეტი საუკეთესოს მიხედვით პროგრამის ცალკეულ სახეობებში.

როცა ვლაპარაკობთ ზამთრის პირველი საკავშირო სპარტაკიადის შედეგებზე, არ შეიძლება არ შევჩერდეთ ერთ მეტად საოცარ ფაქტზე: როგორღაც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით, სვერდლოვსკში გუნდური შედეგების გამოყვანის დროს, მაშინ, როცა სპარტაკიადა მთელი სიგრძე-სიგანით იყო გაშლილი, გუნდური ჩათვლიდან მოულოდნელად გაქრნენ ყირგიზეთი და სომხეთი, თუმცა ეს კოლექტივები დებულების თანახმად სხვათა თანასწორუფლებიან წევრებად ითვლებოდნენ.

ახლა ორიოდე სიტყვით საქართველოსათვის ახალ სახეობათა — ჰოკეის, ციგურაობასა და ფიგურული სრიალის შესახებ. უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მარტო გუნდების მომზადებასა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ—სეროვში, ჩელიაბინსკში, სვერდლოვსკსა და ნოვოსიბირსკში შეკრებათა ჩატარებაზე დაიხარჯა 110 ათასი მანეთი, რის გამო ჩვენი ჰოკეისტების მიერ გატანილი ყოველი გოლი, თუნდაც ყველაზე სუსტი გუნდების კარშიც კი, ათეულ ათასობით მანეთი გვიჯდებოდა (ძველი გადაანგარიშებით).

ასეთი დიდი ხარჯების გაღება რესპუბლიკამ მხოლოდ სპარტაკიადის სამზადისისათვის იკისრა, მაგრამ ასეთი თანხის ხარჯვა ყოველწლიურად შეუძლებელია. ამიტომაც გადავწყვიტეთ საქართველოში ვიბრძოლოთ მხოლოდ ფიგურული სრიალის განვითარებისათვის, რისთვისაც თბილისში დასრულს უახლოვდება ხელოვნური საციგუროს მშენებლობა. რაც შეეხება ჰოკეისა და ციგურაობას, ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ კარგი ჰოკეისტების აღზრდისათვის, რამდენადაც სპორტის ეს სახეობა შეიყვარა საქართველოს ახალგაზრდობამ, მაგრამ ხელოვნურსაფარიანი თუნდაც ერთი ბაზის უქონლად ამაზე ფიქრიც კი ძნელია.

ჩვენგან ხშირად მოითხოვენ მაღალი კლასის ტრამპლინიდან მხტომელებსა და სამთო მოთხილამურეებს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მათი აღზრდა ძნელია. თუ მათ საშუალებას მისცემენ ძალები სცადონ საზღვარგარეთელ სპორტსმენებთან შეხვედრაში, ამასთან როგორც წესი, მათ თან უნდა ახლდნენ თავიანთი მწვრთნელებიც რესპუბლიკებიდან, ხოლო საკავშირო ნაკრების მწვრთნელები არ უნდა შემოიფარგლონ აღსაზრდელთა ვიწრო ჯგუფით და სათანადო ყურადღება დაუთმონ საკავშირო ნაკრებში მყოფ მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტსმენებსაც ისე, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, პ. დემენტიევი.

და ბოლოს, აუცილებელია ცენტრალური წესით სწორად განაწილდეს მაღალხარისხოვანი სათხილამურო ინვენტარი და ნუ ვაიძულებთ მოთხილამურეებს თხილამურები და საცხები შეისყიდონ „კერძო ბაზარზე".

საქართველოს სპორტკავშირი ცენტრალურ საბჭოს თხოვს სამთო-სათხილამურო სახეობათა შემდგომი განვითარების მიზნით, საკავშირო კალენდარში შეიტანოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თასის გათამაშება, რომელიც ყოველწლიურად თებერვალში ჩატარდება ბაკურიანში.

შემდეგ მოხდა ეროვ[illegible] -ბის საზეიმო აღმართვა, შესრულდა თურქეთისა და საქართველოს ჰიმნები და ბოლოსდაბოლოს შეხვედრაც დაიწყო.

სპორტული ბრძოლის აღწერას

ქალაქებსა და რაიონებში

ბათუმი

„განთიადის" სპორტულ დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა აჭარის 1962 წლის პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოზარდთა შორის.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის I გუნდი, მეორეზე—ბათუმის II, ხოლო მესამეზე — ბათუმის რაიონის ჩოგბურთელები.

პირად პირველობაზე გოგონათა შორის გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონმა ს. ჰარფინიდიმ. მან შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლ. ავდალიანი, მესამეზე — გ. პევზნერი. ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი წაუგებლად მოიპოვა ს. სარხოიანმა, მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს თ. თავართქილაძემ და რ. გოგიტიძემ.

გ. ჰანტურია

□

ცაგერი

ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში ორ დღეს გრძელდებოდა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ბერიძემ, ბ. გოლეთიანმა (ცაგერის საშუალო სკოლა), ბ. ყურაშვილმა, პ. სვანიძემ (ცხუკუშერის საშუალო სკოლა), ი. ფერაძემ (ჩხუტელის საშუალო სკოლა), ზ. ფრუიძემ (ილპანის საშუალო სკოლა), გ. ჩიკვეტაძემ (ოყურეშის საშუალო სკოლა).

გ. ხვადაგიანი

□

ცხინვალი

მოჭადრაკეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ქალაქში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ამ სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით მოეწყო ქალაქის 1962 წლის ჩემპიონატი.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პედინსტიტუტის სტუდენტმა ა. სართანიამ, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა 11-დან.

ვ. მელქონოვი

□

მახინჯაური

მახინჯაურში დამთავრდა ბათუმის რაიონის სპარტაკიადა ქალთა შორის.

სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ ხელვაჩაურის, ახალშენის, ჩაისუბნის, მეჯინისწყლის, ანგისის, მახინჯაურის სკოლებისა და მახინჯაურის კოლმეურნეობათა სპორტსმენები. სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი და შაში.

ფრენბურთელთა გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ანგისისა და ჩაისუბნის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ანგისის გუნდმა. შაშში უძლიერესნი იყვნენ მახინჯაურის ქართული სკოლის მოსწავლეები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს ანგისის შვიდწლიანი სკოლის სპორტსმენებმა.

ჟ. გარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა სამი ტური

□

საკავშირო პირველობა ხელბურთში

□

საქართველოს ხელბურთელებმა კარგად ჩაატარეს საკავშირო პირველობის ფინალური შეხვედრების მეოთხე ტური. ამ დღეს მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ძლიერი კოლექტივი. მოსკოველებმა მოინდომეს თამაშიდან ცერცვაძის გამოთიშვა, მაგრამ ახლა ლიდერობა თავისთავზე აიღო ანთაძემ, რომელმაც შესანიშნავად გაათამაშა გუნდი და წარმატებასაც მიაღწია. მათ სამჯერ ზედიზედ აიღეს მოწინააღმდეგის კარი, ხოლო თავისაში ერთი ბურთი მიიღეს; პირველი ნახევრის დამთავრებამდე, როცა ანგარიში იყო 8:4 თბილისის „პეტრევესტნიკის" სასარგებლოდ, ჩვენებმა სწრაფ ტემპში ახალი კომბინაციები წამოიწყეს და ანთაძემ, მაჰავარიანმა და ცერცვაძემ კიდევ სამი გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით კარგი იყო ცერცვაძის მიერ ოსტატურად შესრულებული შვიდმეტრიანი საჯარიმო — 11:4.

მაყურებლები გულთბილი ტაშით აცილებდნენ მოედნიდან შესვენებაზე მიმავალ თბილისელ ხელბურთელებს, რომლებმაც ლამაზი, კომბინაციებით აღსავსე თამაში აჩვენეს.

მაგრამ მეორე ტაიმში, უკვე ეს მერამდენედ, თბილისელებმა დათმეს პოზიციები. მოსკოველებმა ისარგებლეს თბილისელთა დაბალი ტემპით და თამაში ჯერ გაათანაბრეს, ხოლო შემდეგ დაეუფლნენ ინიციატივას და მოიგეს მეორე ნახევარი — 10:9 მართალია, ერთი ბურთით უპირატესობას მოსკოველებისათვის საერთო გამარჯვება არ მოუტანია (შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 20:14), მაგრამ ვფიქრობთ, ამგვარი ტაქტიკის უარყოფითი გავლენა თავს იჩენს საპრიზო ადგილების საბოლოო განაწილებაში, როცა დღის წესრიგში დადგება ბურთების შეფარდება.

აღსანიშნავია მეკარე აბაიშვილის კარგი თამაში. თუ იგი დარჩენილ მატჩებს ისევე ჩაატარებს, როგორც წინა შეხვედრებში, ნამდვილად შევა საკავშირო ნაკრებში და გაიმარჯვებს აქ გამოცხადებულ საუკეთესო მეკარეთა კონკურსში.

მეოთხე ტურში ვაჟთა შეხვედრებიდან კიევის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა მინსკის კოლექტივი — 33:24. მოსკოვის „ტრუდმა" — ტირასპოლის სკა — 21:15, „ატლეტასმა" (კაუნასი) მოუგო „ალუმინსტროის" (ზაპოროჟიე)—21:18.

ქალთა გუნდების შეხვედრები დამთავრდა შემდეგი მაჩვენებლებით—ბაქო („ლოკომოტივი")-კიევი („უკრაბელი") — 6:5, სვერდლოვსკი (პოლიტექნიკ. ინსტ.)-ვილნიუსი („ჟალგირისი")—10:3, ოდესა („ლოკ".)-კაუნასი („ჟალგირისი") — 8:1. ამ დღის სენსაცია იყო ლენინგრადის (სკიფ-ი) სუსტი გუნდის მატჩი მოსკოველებთან („ტრუდი"). ლენინგრადელებს შეხვედრა მიჰყავდათ ანგარიშით 5:2 და მოსკოველებმა გაჭირვებით მიაღწიეს ფრეს — 5:5.

ოთხი ტურის შემდეგ ვაჟთა შეჯიბრებას ლიდერობს მოსკოვის „ტრუდი", რომელმაც ერთადერთი ქულა დაკარგა ჯერ კიდევ წინასწარ შეხვედრებში თბილისის „ბურევესტნიკთან" და ახლა მას 7 ქულა აქვს. შემდეგ ადგილებზე არიან თბილისის „ბურევესტნიკი", „ატლეტასი" და ტირასპოლის სკა — 6 ქულა თვითეულს. ქალთა შორის ლიდერობენ „ტრუდის" ხელბურთელები — 7 ქულა.

ჯ. ენუქიძე,

ჩვენი სპეც. კორ.

კაუნასი.

მოთხილამურეებმა „დახურეს" სეზონი

ჩვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტული სეზონის ფინიშზე გაიმართა კიდევ ერთი შეჯიბრება — „დიდი მარათონი", რომელიც მენჩიგორსკში ჩატარდა. 70 კილომეტრზე რბენის სტარტზე გამოვიდა 117 მოთხილამურე.

პირველ საშუალედო ფინიშზე ყველაზე ადრე მივიდა ვ. იერუსალიმსკი. მან აჩვენა 5:14.54, მაგრამ როცა სხვა მონაწილეებმაც დაამთავრეს დისტანცია, ზუსტად ისეთივე დრო აღმოაჩნდა ე. რუდკოვსკისაც. ორივე სპორტსმენს გადაეცა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები.

ფეხბურთი

დაიწყო სსრ კავშირის 1962 წლის პირველობა ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდებისათვის.

7 აპრილს ქ. ჯამბულში შედგა გათამაშების პირველი მატჩი მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „მეტალისტმა" მიიღო ფრუნზეს „ალგა". შეხვედრის შედეგია 0:0.

როგორც ცნობილია, საქართველოს გუნდები მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა ორივე ზონაში. პირველ მატჩს ჩვენი რესპუბლიკიდან ატარებს სოხუმის დინამოელთა კოლექტივი, რომელიც 11 აპრილს საკუთარ მინდორზე მიიღებს რიგის ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხნის გუნდს, თბილისის „ლოკომოტივი" ჩემპიონატში ებმება 15 აპრილს. ამ დღეს იგი მიიღებს კაუნასის „ბანგას". ამავე დღეს სოხუმში ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" (სოხუმი)-„კალევი" (ტალინი).

II ზონაში საქართველოს გუნდები თავიანთ პირველ შეხვედრებს ჩაატარებენ მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე. 15 აპრილს თამაშობენ: „სტროიტელი" (აშხაბადი)-„დინამო"(ბათუმი), „ნეფტიანიკი" (ფერგანა) - „მეტალურგი" (რუსთავი), „პამირი" (ლენინაბადი)-„კოლხეთი" (ფოთი).



ლ. ჯახუა — მასწავლებელთა ჩემპიონი

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისის მასწავლებელთა სახლში მოეწყო მასწავლებელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდა 32 კაცი.

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ლ. ჯახუამ, რომელმაც მოიგო ყველა (8) პარტია, მათ შორის ძირითად კონკურენტებთანაც—ი. ლოლუასთან (ფოთი) და ვ. პეტრიაშვილთან (თიანეთის რაიონი).

გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩნენ შარშანდელი ჩემპიონი ი. ლოლუა და ვ. პეტრიაშვილი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ რ. მინდაძე (ცაგერის რაიონი), ი. კალანდაძე (ლაგოდეხის რაიონი), ი. ვაისმანი (საგარეჯოს რაიონი), ს. თოთლაძე (ქარელის რაიონი), გ. გვერდწითელი (გორის რაიონი), თ. ჩხეიძე (ზესტაფონი) და ლ. გორდულაძე (ჩხოროწყუს რაიონი) — 5 ქულა თვითეულს.

— პირველობამ ცხადყო საქართველოს მასწავლებელთა თამაშის დონის ზრდა, — თქვა ტურნირის მთავარმა მსაჯმა ა. ურუშაძემ, — რაც იმაზე მეტყველებს, რომ უკვე მომწიფდა მასწავლებელთა საკავშირო პირველობის ჩატარების საკითხი.

თ. ნინოშვილი

სურათზე: ლ. ჯახუას (მარცხნივ) შეხვედრა ი. ლოლუასთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საჭადრაკო ოლიმპიადა

საკავშირო ალკკ-ს ცენტრალური კომიტეტის ჟურნალმა „სმენამ" 1961 წლის იანვარში გამოაცხადა V საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ათ ტურად მოეწყო. „მარათონული" ოლიმპიადის მონაწილეებს, რომელთა შორის იყვნენ ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები, პასუხი უნდა გაეცათ მრავალ შეკითხვაზე ჭადრაკის ისტორიის, თეორიის საკითხებზე და გადაეწყვიტათ ოსტატთა პრაქტიკიდან აღებული ზოგიერთი პოზიცია.

V ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 17 ათასმა კაცმა. ცალკეულ ტურებში მიღწევებისათვის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდა 340 მონაწილე.

ოლიმპიადის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გროსმაისტერი ვ. სმისლოვი, საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ოსტატი ლ. აბრამოვი, ოსტატები ი. გუსევი, ვ. ლიუბლინსკი და ა. ჩისტიაკოვი, შეაჯამა შედეგები და განსაზღვრა გამარჯვებულნი.

I-II ადგილები გაიყვეს მაიაკოვსკის რაიონის ხოფ. როხის მჭედლმა გურამ მუავანაძემ და იჟორის ქარხნის ტექნიკოსმა ლიუდმილა პეტროვამ. თვითეულმა გამარჯვებულმა 200 შესაძლებლიდან 188 ქულა მოაგროვა.

ყველა გამარჯვებულს გადაეცა სამახსოვრო საჭადრაკო საათი და სპეციალური დიპლომი.

ოლიმპიადის პრიზიორებში შეყვანილ არიან მონაწილენი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში. პრიზიორებს შორისაა თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლე დ. დემუროვიც, რომელიც დაჯილდოვდა საჭადრაკო ლიტერატურით და სპეციალური დიპლომით.

სწორ გზაზე

სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის შარშან პირველად გამოჩნდა დებიუტანტი — სოხუმის „რიწა". კოლექტივის შექმნა მოკლე დროში, მისი ჩამოყალიბება და მეტოქეობის გაწევა „მეორე ეშელონის" გამოცდილი გუნდებისათვის მეტად რთული საქმეა. გარდა ამისა, ძნელია დააკმაყოფილო აფხაზეთის სპორტული საზოგადოებრიობის მოთხოვნები, სადაც მრავალი შესანიშნავი ფეხბურთელი აღზრდილა. დაბალ მაჩვენებლებს აქ არავინ გაპატიებს.

„რიწამ" არ გაამტყუნა იმედები, მთელ რიგ მატჩებში აჩვენა ენერგიული, მონდომებული თამაში და თავის ზონაში დაიკავა დებიუტანტისათვის კარგი ადგილი. გუნდმა მაყურებლებში მოიპოვა საკმაო ავტორიტეტი. საკმარისია ითქვას, რომ სოხუმელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე თითქმის ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს.

ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კოლექტივი აშკარად პერსპექტული იყო და მისი გულშემატკივრებიც მოუთმენლად ელოდნენ ახალ, 1962 წლის სეზონს, მაგრამ მოხდა ისე, რომ სოხუმელებს კვლავ თავიდან მოუხდათ ერთხელ შექმნილი კოლექტივის ჩამოყალიბება და განმტკიცება, ვინაიდან მათ ერთშაბად გამოაკლდათ სამი თავდამსხმელი. ს. ფიფია გადაყვანილ იქნა თბილისის „დინამოში", ა. ზარდანია — ქუთაისის „ტორპედოში", ხოლო ი. კურტანიძემ თავი დაანება თამაშს და მწვრთნელის სამუშაოზე გადავიდა. საქართველოს „ა" კლასის გუნდების დახმარება ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ჩვენი სახელია, ამბობენ გუნდის ხელმძღვანელები, მაგრამ როცა „ბ" კლასიდან „ა" კლასში მიდიან მოთამაშეები, საჭიროების შემთხვევაში მას უნდა მიეცეს შესაფერისი შევსებაც.

ამ განცხადებას სრული საფუძველი აქვს. გუნდიდან წასული მოთამაშეების ნაცვლად სოხუმელთა კოლექტივის ხელმძღვანელობა მოითხოვს მოთამაშეებს ცხაკაიას გუნდიდან. მას დაჰპირდნენ კიდეც ამ შევსებას, მაგრამ დაპირების პრაქტიკული განხორციელება ჯერ არ ჩანს და სოხუმელებს საკუთარი სახსრებით უხდებათ დანაკლისის შევსება. გუნდში მიღებული არიან ახალგაზრდა მოთამაშეები ჰითანავა, ილიადი, ცინცაძე, რომლებიც საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების შემთხვევაში შეძლებენ დაიკავონ ადგილები ძირითად შემადგენლობაში.

სოხუმელთა გუნდი სადღეისოდ სერიოზული ამოცანების წინაშე დგას. გარდა იმისა, რომ მოთამაშეები უნდა მომზადდნენ ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად, საჭიროა მათი შეთამაშება, საბრძოლო ძალად ქცევა. ფეხბურთელებმა მთელი თავიანთი მაქსიმუმი უნდა ჩააქსოვონ კოლექტივის წარმატებისათვის ბრძოლას. გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა საკონტროლო მატჩებში ახდენს მოთამაშეთა შერჩევას.

ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ სოხუმელთა გუნდს ჰყავს ახალი „შეფი" — სპორტსაზოგადოება „დინამო", რომელსაც გააჩნია საკუთარი საფეხბურთო სტადიონი. აქ მხოლოდ ფორმალობაში როდია საქმე. სოხუმის „დინამოს" დიდი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი გუნდიც ამ მდიდარი ტრადიციების მატარებელი იქნება.

სოხუმის დინამოელთა კოლექტივი სწორ გზაზე დგას, მისი ფორმირების პროცესში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაბრკოლებებს, წარუმატებლობებს, მაგრამ ამან არ უნდა შეაშინოს ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთაც დიდი და საპასუხისმგებლო საქმე აკისრიათ.

ა. გალპერინი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სურათზე: სოხუმის „დინამოსა" და მვო-ს გუნდების ამხანაგური მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

□

„იუმანიტეს" თასზე

პარიზის გარეუბან ლა-კურნეს „სპორტის პარკში" ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში გაზეთ „იუმანიტეს" თასზე.

ქალთა 2.000-მეტრიანი კროსის დისტანციაზე სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ, რომელთა შორის უძლიერესი იყო თ ბაბინცევა. ვაჟთა 8000-მეტრიან რბოლაში გამარჯვებული გამოვიდა ლ ივანოვი.

„იუმანიტეს" თასის საიუბილეო 25-ე გათამაშების გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

სიახლენი კალათბურთში

ამას წინათ მიუნხენში გაიმართა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების საორგანიზაციო კომისიისა და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. სემაშკომ

რა საკითხები იქნა განხილული სხდომაზე, რა გადაწყვეტილებები მიიღო ფიბას აღმასრულებელმა კომიტეტმა? სწორედ ამ საკითხების გარშემო ესაუბრა კორესპონდენტებს სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნ. სემაშკო. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სხდომამ მიიღო, იყო „ავტოგოლის“ აკრძალვა. რას წარმოადგენს „ავტოგოლი“, რაში მდგომარეობს მისი შინაარსი?

„ავტოგოლი“ კალათბურთში შედარებით ახალი ტერმინია. იგი ნიშნავს ბურთის საკუთარ კალათში ჩაგდებას.

კი მაგრამ, იკითხავთ თქვენ, ვის რაში ესაჭიროება ბურთის ჩაგდება საკუთარ კალათში, განა ეს პარადოქსი არ არის? მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ კალათბურთში თურმე ყოფილა შემთხვევები, როდესაც „საკუთარ კარში გოლის გატანას“ სარგებლობა მოაქვს და იგი გუნდს რაღაც უპირატესობას ანიჭებს.

მაგალითისათვის ავიღოთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფორმულა,—თუ გუნდებს თავიანთ აქტივში აქვთ თითო გამარჯვება და თითო დამარცხება, უპირატესობა ენიჭება იმ კოლექტივს, რომელსაც აღმოაჩნდება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა. ვთქვათ, გუნდმა პირველი შეხვედრა მოიგო 3 ქულის განსხვავებით, ხოლო მეორე მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში საყაიმო აღმოჩნდა. ასეთ დროს პირველ შეხვედრაში გამარჯვებული გუნდი თავის კალათში აგდებს ბურთს და აგებს მატჩს 2 ქულის განსხვავებით. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით (ორი შეხვედრის ჯამში) იგი გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლებას იღებს. რაში დაჭირდა მათ მაინც საკუთარ კალათში ბურთის ჩაგდება? ასეთი მოქმედება ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ გუნდს არ აწყობდა დამატებით ხუთ წუთში თამაში.

როგორც ხედავთ, „ავტოგოლის“ არასპორტულობა ცხადზე-ცხადია. ამასთან ისიც ნათელია, რომ „ავტოგოლის“ არსი ეწინააღმდეგება კალათბურთის წესებს, რომლის პირველ პარაგრაფში ნათქვამია: „გუნდის ამოცანაა ჩააგდოს ბურთი მოწინააღმდეგის კალათში და არ მისცეს ამის საშუალება მოწინააღმდეგეს“.

ამიერიდან, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თუ რომელიმე გუნდი მიმართავს „ავტოგოლს“, იგი იმავ წამს დისკვალიფიცირებული იქნება. კომისიამ თხოვნით მიმართა ფიბას ცენტრალურ ბიუროს, შეეტანა წესებში პარაგრაფი „ავტოგოლის“ აკრძალვის შესახებ საერთოდ. უფრო ზუსტად, კომისია ითხოვს კალათბურთის შეხვედრებში საყაიმო ანგარიშის გაუქმებას.

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების დებულების პირველი პარაგრაფი დიდი ხანია საერთო უკმაყოფილებას იწვევს. ამ პარაგრაფის მიხედვით, თასის მფლობელი გუნდის ქვეყანას, გათამაშებაში ორი კოლექტივის გამოყვანა შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ჩემპიონთა თასიც და ეროვნული ჩემპიონის წოდება ერთსა და იმავე გუნდს ეკუთვნის, გათამაშებაში დაიშვებოდა პირველობის მეორე პრიზიორი — ე. წ. ვიცეჩემპიონი.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: მომავალი წლიდან თასისათვის ბრძოლაში დაუშვას მხოლოდ ერთი გუნდი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თასის მფლობელი არ არის თავისი ქვეყნის ჩემპიონი, მაშინ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ჩემპიონსაც.

შეიცვალა დებულების მეხუთე პარაგრაფიც. ამიერიდან ნეიტრალურ მოედანზე თამაში შემდეგი წესით ჩატარდება. თუ რომელიმე გუნდი, რაღაც განსაკუთრებული მიზეზების გამო ვერ შეძლებს თავისი მოწინააღმდეგის ქვეყანაში ჩამოსვლას, ან თავის ქვეყანაში გუნდის მიღებას, მათ შორის დაინიშნება ერთი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე (წინასწარ შერჩეულ ხუთი ქვეყნიდან რომელიმეში). ყოველგვარი მატერიალური ხარჯები ასეთ შემთხვევაში ეკისრება იმ ქვეყნის გუნდს, რომლის მიზეზითაც ჩატარდა შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე.

საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვიტა ქალთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს 1963 წელს პერუში.

აღმასკომმა განიხილა XVIII ოლიმპიურ თამაშებზე კალათბურთელთა ტურნირის ჩატარების საკითხი. მასში მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი. ტურნირის 8 მონაწილე უკვე ცნობილია. ესენი არიან ის კოლექტივები, რომლებმაც უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში დაიკავეს ადგილები I-დან IX-მდე. ამრიგად, ტოკიოში ავტომატურად მოხვდებიან: აშშ, სსრკ, ბრაზილია, იტალია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი და ურუგვაი. პრივილეგიებით სარგებლობს აგრეთვე იაპონიის გუნდიც, როგორც ოლიმპიადის მომწყობი ქვეყანა.

შვიდ დანარჩენ ვაკანტურ ადგილს მოიპოვებენ შემდეგი გუნდები: ორს — პანამერიკულ თამაშებში გამარჯვებული კოლექტივები (1963 წ.) თუ ამ ტურნირში სამ პირველ ადგილს დაიკავებენ აშშ-ს, ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდები, მაშინ ოლიმპიურ ტურნირში დაიშვებიან მეოთხე-მეხუთე ადგილზე გამოსული კოლექტივები.

ერთ ადგილს მიიღებს აფრიკის კონტინენტის წარმომადგენელი — 1963 წლის ტურნირში გამარჯვებული. 1964 წლის მარტ-აპრილში გაიმართება ევროპის ქვეყნების შერჩევითი ტურნირი. პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივები გაემგზავრებიან ტოკიოში.

ორი დარჩენილი ადგილის საკითხი გაირკვევა XVIII ოლიმპიური თამაშების წინ იმ ტურნირში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აზიის და ავსტრალიის გუნდები, აგრეთვე ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ის კოლექტივები, რომლებიც კიდევ ერთხელ მოისურვებენ სცადონ ბედი.

ყურმოკრული...

„თითქოს ელექტრონის სკამზე“

„ხშირად მეჩვენება, რომ ვზივარ ელექტრონის სკამზე და ყოველ მომენტში ველოდები დენის გაშვებას“. ეს სიტყვები ეკუთვნის ფეხბურთის ერთ-ერთ ინგლისელ მწვრთნელს. მისი წუხილი გასაგებია. სულ ცოტა ხნის განმავლობაში ინგლისის საფეხბურთო კლუბების 27 მწვრთნელი დაითხოვეს სამუშაოდან. ომისშემდგომ წლებში ასეთივე ბედი ეწია 400 მწვრთნელს, რომელთა გუნდები წარუმატებლად გამოდიოდნენ ჩემპიონატებში.

თავისებური იუბილე

ყველამ არ იცის, რომ ფეხბურთის სპორტული ფორმის ერთ-ერთი ატრიბუტი — ნომერი ზურგზე — წელს დღესასწაულობს თავის 25 წლის იუბილეს. მოთამაშეთა ნუმერაცია პირველად შემოღებულ იქნა 1937 წელს ჩრ. ირლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრისას. ინიციატორები იყვნენ ირლანდიელები.

შემდეგ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მხარი დაუჭირა ამ სიახლეს და მალე კონტინენტის ყველა გუნდი გამოდიოდა ნომრებით.

ფეხბურთის ქრონიკა

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში სენსაციაა. პირველი ლიგის დებიუტანტი „იპსვიჩი“ დაწინაურდა და 36 თამაშის შემდეგ 48 ქულით ლიდერობს გათამაშებას. ლონდონის „ბერნლი“, რომელმაც თავისი ბოლო შეხვედრა „ნოტინჰემ ფორესტთან“ დაამთავრა ფრედ — 0:0, „იპსვიჩს“ ჩამორჩება 1 ქულით, მაგრამ მას ჩატარებული აქვს 33 შეხვედრა. მომდევნო ადგილებზე არიან „შეფილდ იუნაიტედი“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ და „ევერტონი.“

საფრანგეთის პირველობის მორიგი ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინაა „ნიმი“, რომელსაც 62 შესაძლებლიდან აქვს 42 ქულა. მეორე ადგილზეა „რეიმსი“, — 39 ქულა 64 შესაძლებლიდან.

ბულგარეთის ეროვნულმა ნაკრებმა სოფიაში ჩაატარა საწვრთნელი მატჩი ბრაზილიის „გრემიოსთან“. ბულგარელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 4:0.

რედაქტორი ი. უგულავა

ხვალ ჰამბურგში

ხვალ, 11 აპრილს, ჰამბურგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან მატჩით იწყებს თავის გასტროლებს ევროპაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

ურუგვაელთა მწვრთნელმა ხუან კარლოს კარასომ ევროპაში ჩამოიყვანა თავისი 22 უძლიერესი მოთამაშე. ესენი არიან მეკარეები სოსა და მაიდანა (ამ უკანასკნელმა საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ ითამაშა მონტევიდეოში), მცველები და ნახევარმცველები: ტროჩე (გუნდის კაპიტანი) ალვარესი, სორია, გონზალესი, მენდესი, გონზალესი, ელისეო და ალვარეს პედრო, თავდამსხმელები: პერესი, კუბილა, დე სოუზა, ბერგერა, სილვა, კაბერა, სასია, ლანგონი, დაუკსასი, ესკალადა და როხა.

გუნდი შედგენილია ურუგვაის ორი უძლიერესი პროფესიონალური კლუბის „პენიაროლისა“ და „ნასიონალის“ მოთამაშეთაგან. საყურადღებოა, რომ ცნობილი ფორვარდი ლუის კუბილა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა მონტევიდეოში საბჭოთა ფეხბურთელებთან, სათადარიგო მარჯვენა გარემარბია პერესის შემდეგ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები დღემდე მხოლოდ თავის საკლუბო გუნდებს ეთამაშებოდა. მისმა მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა მოამზადა გუნდის შემადგენლობა: მეკარეები და დაცვა ტილკოვსკი, ფარიანი, სავიცკი, ნოვაკი, ოლკი, შნელინგერი, კურბიურნი, ვენაუერი, ვილდენი, ნახევარმცველები: ერჰარდტი, შულცი, შიმანიაკი, გოზემანი, თავდასხმა: კოზლოვსკი, კრგერი, ჰალერი, ჰერმანი, ზეელერი, შტრელი, ბრიულსი, შეფერი, ფოლმარი და დერფელი.

ურუგვაისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების თამაში იმითაც იწვევს ინტერესს, რომ ერთმანეთს ხვდებიან სრულიად განსხვავებული მანერის მქონე გუნდები. ამასთან ორივე გუნდი მსოფლიოში უძლიერესთა რიგებს მიეკუთვნება.

17 აპრილს ურუგვაელები ითამაშებენ უნგრეთის ნაკრებთან, 22 აპრილს პრაღაში ჩეხოსლოვაკელებთან, 27 აპრილს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან და გასტროლებს დაამთავრებენ 2 მაისს გლაზგოში, სადაც მათი მეტოქე იქნება შოტლანდიის ნაკრები.

სპორტის სასახლე

დღეს!

ევროპის ჩემპიონთა
თასი
კალათბურთში
„დინამო“ (თბილისი) —
„დარუშაფაკი“ (სტამბოლი)

12 აპრილი
საერთაშორისო შეხვედრა
ძიუ-დოში
საბჭოთა კავშირი —
საფრანგეთი

13-15
აპრილი
საერთაშორისო
ტურნირი
თავისუფალ
ჭიდაობაში
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

13-17
აპრილი
ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზი
საქართველოს 1962 წლის
პირად-გუნდური პირველობა
სპორტულ
ტანვარჯიშში
შეჯიბრება ეძღვნება გაზეთ
„პრავდის“ 50 წლისთავს.
დასაწყისი 16 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი. „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05704